პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 15 აპრილი, 1942 წ. № 89 (6405). ფასი 15 კაპ.

ახალი სესხის დიდი წარმატება

კოლოსალური წარმატებით მიმდინარეობს 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერა. ჩვენი თავისუფლების, ჩვენი ღირსების, ჩვენი დამოუკიდებლობის სესხზე მშრომელები ერთსულოვანი აღფრთოვანებით აწერენ ხელს და ერთხელ კიდევ ცხადჰყოფენ საბჭოთა კავშირის ხალხების მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, მჭიდრო დარაზმულობას ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, ბრძენი ბელადის მშობლიური სტალინის გარშემო. ახალ სესხზე ხელმოწერა საყოველთაო საქმედ გადაიქცა. სამამულო ომის სესხს ჩვენი ქვეყნის მშრომელები მაღალი პოლიტიკური შეგნებით შეხვდნენ. მათ ამით ერთხელ კიდევ ცხადჰყვეს, რომ მზად არიან ყველაფერი გააკეთონ წითელი არმიისა და ფრონტის დასახმარებლად, რათა ბოლომდე გაანადგურონ უბოროტესი მტერი — პირსისხლიანი ფაშიზმი.

საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და შახტებში, მთელი ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში უდიდესი აღფრთოვანებით მიმდინარეობს ახალ სესხზე ორგანიზებული ხელმოწერა. მშრომელები არა მარტო 3-4 კვირის ხელფასს აძლევენ სესხად სახელმწიფოს, არამედ ბევრი სესხზე ხელს აწერს თვენახევრისა და ორი თვის საშუალო გამომუშავების რაოდენობით. ეს საბჭოთა პატრიოტიზმის ნათელი გამოხატულებაა და მას ყველგან უნდა შევუწყოთ ხელი.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, როგორც ყოველთვის, უდიდესი წარმატებით ავრცელებენ სამხედრო სესხს. უკვე გუშინ ზოგიერთმა რაიონმა და დაწესებულებამ ძირითადად დაამთავრა სესხზე ხელმოწერა. ასეთია, მაგალითად, მცხეთის რაიონი, თბილისის ელექტროდეპო და სხვ. თბილისში გუშინ ღამის 12 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხა 62.021 ათას მანეთს აღწევდა. სამხედრო სესხის დიდ წარმატებას მეტყველებს ფოთის მაგალითი. ქალაქ ფოთში ხელმოწერის თანხა მარტო პირველი დღე-ღამის განმავლობაში 5.500 ათას მანეთს შეადგენდა, მაშინ, როცა შარშან მთელი ხელმოწერის თანხა 2.870 ათასი მანეთი იყო. ახალ სესხზე ხელმოწერა რესპუბლიკის ყველა რაიონში წარმატებით მიმდინარეობს.

დიდია მშრომელთა ინიციატივა. სტალინის პრემიის ლაურეატმა ა. ხორავამ ახალ სესხზე ხელი მოაწერა 10.000 მანეთის რაოდენობით, ა. ვასაძემ—9.000 მანეთის, ხოლო ა. ანტონოვსკაიამ და ბ. კუფტინმა თითოეულმა 10.000 მანეთის რაოდენობით.

თბილისში მყოფმა მოსკოვის ხელოვნების ოსტატებმა ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკომ—7.500 მანეთისა და ვ. კაჩალოვმა 6.000 მანეთის რაოდენობით მოაწერეს ხელი ახალ სესხზე.

საოპერო თეატრის მსახიობმა ვ. ჭაბუკიანმა 8.000 მანეთის სესხზე მოაწერა ხელი. მწერალმა ი. აბაშიძემ 2.500 მანეთი მისცა სესხად სახელმწიფოს.

ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში ბევრი აწერს ხელს თვენახევარ—ორი თვის ხელფასის რაოდენობით. კალინინის სახელობის ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ლ. გრიგორიევმა ორი თვის ხელფასის რაოდენობით მოაწერა ხელი სესხზე. კომკავშირელმა ხარატმა ამხ. ვ. სიტნიკოვმა 2.700 მანეთი მისცა სესხად სახელმწიფოს.

საკოლმეურნეო სოფელში სამხედრო სესხი დიდი წარმატებით ვრცელდება. გორის რაიონის სოფელ ბერბუკის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. შ. გიგაურმა, სოფელ სვენეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. ბალდოშვილმა და სოფელ ოხერას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სირანა ანასტასოვმა 5.000 მანეთის სესხი შეიძინეს თითოეულმა. ამხ. ბალდოშვილმა 5.000 მანეთი ნაღდად შეიტანა.

1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის ასეთი დიდი წარმატება გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის გარდუვალი განადგურების კიდევ ერთი მაუწყებელია. ეს წარმატება ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა კავშირის ხალხების ერთსულოვან და მტკიცე გადაწყვეტილებას ყველაფერი გააკეთონ მტერზე გამარჯვებისათვის და არაფერი დაიშურონ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა კარგად იციან, რომ თითოეული მანეთი, მათ მიერ გაღებული, ეს არის ახალი ტანკები, თვითმფრინავები, ტყვიამფრქვევები, ახალი მრისხანე იარაღი ფაშიზმის მოსასპობად. ამიტომ შეხვდნენ ახალ სესხს ასეთი ერთსულოვანი აღფრთოვანებით.

კიდევ უფრო გავაძლიეროთ აგიტაცია-პროპაგანდა მოსახლეობაში პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს მოწოდების განსახორციელებლად!

1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის ეს დიდი წარმატება 1942 წელს სამარეს გაუთხრის გერმანიის პირსისხლიან ფაშიზმს და დააჩქარებს მის გარდუვალ განადგურებას.

მაშ დაე ყველამ მოვაწეროთ ხელი 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხს!

ამერიკის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ვ. სტენდლიმ რწმუნების სიგელი გადასცა

14 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ვ. სტენდლი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის უფროსთა და რიგითი შემადგენლობისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის **საბჭოთა კავშირის გმირის წოდება** მიენიჭოთ და **ლენინის ორდენი** და მედალი **„ოქროს ვარსკვლავი“** გადაეცეთ:

1. უმცროს სერჟანტ ვასილ სტეფანეს-ძე **არხიპოვს**
2. უმცროს პოლიტხელ ილია ელიზარის-ძე **ბარმინს**
3. უფროს ლეიტენანტ ვასილ გაბრიელის-ძე **ბოლოტოვს**
4. უმცროს სერჟანტ ვიქტორ ანტონის-ძე **გრიგორიევს**
5. უმცროს ლეიტენანტ ფილიპე ტროფიმეს-ძე **დემჩენკოს**
6. წითელარმიელ ექვთიმე ანატოლის-ძე **დისკინს**
7. ლეიტენანტ ნიკოლოზ მიხეილის-ძე **კარაბულინს**
8. უფროს ლეიტენანტ პეტრე სიმონის-ძე **კოვაცს**
9. უმცროს ლეიტენანტ ვასილ ილიას-ძე **კორობკინს**
10. ლეიტენანტ ნიკოლოზ თევდორეს-ძე **კრეტოვს**
11. უფროს ლეიტენანტ გრიგოლ დენისის-ძე **ონუფრიენკოს**
12. გენერალ-მაიორ ივანე ვასილის-ძე **პანფილოვს**
13. პოლიტხელ ანტონ მიხეილის-ძე **სოკოლოვს**
14. კაპიტან ვასილ ივანეს-ძე **ტუროვცევს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 12 აპრილი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის ჯარის ნაწილების წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

წითელი დროშის ორდენით

მსროლელთა 885-ე პოლკი,
მეფუგასე-ცეცხლმტყორცნელთა 26-ე ცალკეული ასეული,
კავშირგაბმულობის 36-ე პოლკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **მ. კალინინი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 12 აპრილი.

წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობის დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულია წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობის ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: პოლკოვნიკი **შ. ზ. ბრეგაძე**, პოდპოლკოვნიკი **ი. ფ. კირიჩენკო**, პოდპოლკოვნიკი **ნ. ვ. ლეშევიჩი**, პოლკოვნიკი **ა. ფ. ნაუმოვი**, პოლკოვნიკი **პ. ს. სემიონოვი**.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 101 კაცი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 64 კაცი. (საქტესი).

საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია

თელავი (ტელეგრაფით). მტს-მა საგაზაფხულო ხვნის გეგმა 107 პროცენტით შეასრულა. ნაცვლად გათვალისწინებული 1.500 ჰექტარისა მოხნულია 1.610 ჰექტარი. ხვნა გრძელდება.

მტს-ის დირექტორი **ხეხნიაშვილი**

პოლიტგანყოფილების უფროსი **ლუარსაბოვი**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

14 აპრილის დილის ცნობა

13 აპრილის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

* * *

ჩვენმა ნაწილებმა, რომლებიც კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებენ, დაიკავეს მოწინააღმდეგის გამაგრებული პუნქტი. სოფლის ქუჩებსა და გასასვლელებში გერმანელებმა დასტოვეს 900-მდე მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი. მოსპობილია გერმანელთა 8 ქვემეხი, 15 ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი ბატარეა, 2 ტანკი, დანგრეულია 8 ბლინდაჟი ტყვიამფრქვევთა და ქვემეხთა ბუდეებიანად. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ჩვენი ერთი ნაწილის მებრძოლებმა, რომლებიც მტრის ზურგში მოქმედებენ დასავლეთის ფრონტზე, ერთი დღის განმავლობაში დახოცეს 200-ზე მეტი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი.

* * *

იმ ქვეგანაყოფის არტილერისტებმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. სოკოლოვი, მოსპეს მტრის 11 სატყვიამფრქვევო წერტი, 3 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი და დაანგრიეს 3 ბლინდაჟი და სამეთვალყურეო პუნქტი.

* * *

წითელარმიელ ამხ. მოროზოვს, რომელიც საბრძოლო დავალებას ასრულებდა, თავს დაესხა გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი. ჰიტლერელები ცდილობდნენ ტყვედ წაეყვანათ იგი. მამაცმა მებრძოლმა შაშხანის ცეცხლი გაახსნა და 12 ჰიტლერელი მოკლა. დანარჩენმა გერმანელმა ჯარისკაცებმა უკან დაიხიეს.

* * *

მეკავშირეებმა — ზემდეგმა პოლზიჩევმა და წითელარმიელმა კოპლევმა ამ დღეებში ტყვედ ჩაიგდეს გერმანელთა თვითმფრინავის „იუ—88“ ეკიპაჟი, რომელიც იძულებით დაეშვა.

* * *

პარტიზანთა რაზმმა, რომელიც გერმანელთა ჯარების ზურგში მოქმედებს კალინინის ფრონტზე, გაფთრებული ბრძოლის დროს ერთ სოფელში დახოცა გერმანელთა გარნიზონი 160 ჯარისკაცისა და ოფიცრის შემადგენლობით. პარტიზანებმა ააფეთქეს მტრის საწყობები საწვავიანად და საომარ მასალიანად.

* * *

რუმინელთა მე-2 დივიზიის 31-ე პოლკის მე-2 ბატალიონის ტყვედ დანებებულმა კაპრალმა იონ ოლსტეანუმ გვიამბო: „მე ნებაყოფლობით დავნებდი ტყვედ, იმიტომ რომ არ მსურდა რუსების წინააღმდეგ ბრძოლა. უკანასკნელ ხანს რუმინელ ჯარისკაცთა შორის გავრცელდა ხმები, უნგრელთა ჯარებმა რუმინეთის ქალაქი არადი დაიკავესო. ამასთან დაკავშირებით მოხდა შეტაკება ჩვენსა და უნგრელებს შორის. უკანასკნელ ბრძოლებში ჩვენს ბატალიონს უდიდესი ზარალი მოუვიდა. 22 მარტისათვის 800 კაციდან დარჩა არა უმეტეს 200 კაცისა. რამდენიმე დღის შემდეგ 30 კაცი დეზერტირი გახდა“.

* * *

გერმანული ქალაქის კრეფელდის მცხოვრები პერდ ბ. ამას წინათ გერმანელ ფელდფებელს ერნსტ შტარნშრაერს სწერდა: „სამხედრო საწარმოთა ბევრი მუშა, რომელთაც აქამდე გადავადება ჰქონდათ, უკვე მობილიზებულია არმიაში. სტეფანე შერნიცი და ოლის ბარლპაინიც კი წაიყვანეს, რომლებიც წინათ ცნობილი იყვნენ სამხედრო სამსახურისათვის გამოუსადეგრად... აქ ყველაფერი ძველებურადაა, ყველგან საბოტაჟია, რომელსაც დაუდევრობით ჰფარავენ“.

* * *

კოლინში (ჩეხოსლოვაკია) გერმანელთა ქვეითმა პოლკმა, რომელიც დაკომპლექტებულია ჩეხებით, ავსტრიელებითა და გერმანელებით, განაცხადა, ფრონტზე არ წავალთო. ბევრი ჯარისკაცი—ჩეხი და ავსტრიელი, როცა გაიგეს, ახლო მომავალში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე უნდა გაგვგზავნონო, დეზერტირი გახდა.

* * *

ბელორუსიის გერმანელთა მიერ ოკუპირებული ერთი სოფლის მშრომელებმა დიდძალი საჩუქარი შეაგროვეს წითელი არმიისათვის. საბჭოთა პატრიოტებმა მოახერხეს 15 საზიდარი საჩუქარი გაეტარებინათ ფრონტზე და ჩვენი ერთი ნაწილის მებრძოლთათვის ჩაებარებინათ.

14 აპრილის საღამოს ცნობა

14 აპრილის განმავლობაში ფრონტის ზოგიერთ უბანზე ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

13 აპრილს მოსპობილია გერმანელთა 17 თვითმფრინავი. ჩვენ 6 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

13 აპრილს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს ან დააზიანეს 30-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, 25 საზიდარი საომარ მასალიანად, 9 საველე და საზენიტო ქვემეხი, 2 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი, 16 ნაღმსატყორცნი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გაჟლიტეს მტრის სამ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა ღამის ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 268-ე ქვეითი დივიზიის 488-ე ქვეითი პოლკის მე-2 ბატალიონი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 400-მდე გვამი.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ცალკეულ უბნებზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილებმა 2 დღეში მტრის 2.200 ჯარისკაცი და ოფიცერი გაჟლიტეს. ხელთ ვიგდეთ დავლა: 4 ქვემეხი, 6 ტყვიამფრქვევი და ტყვიამფრქვევის 28 სათადარიგო ლულა, 3 ნაღმსატყორცნი, ავტომატები, რევოლვერები, შაშხანები, 62.000 შაშხანის ვაზნა, 1.100 ხელის გრანატი, 700 ნაღმი, 2 რადიოსადგური, არტილერიისა და სასურსათო საწყობები.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ტანკისტებმა, არტილერისტებმა და ქვეითებმა 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. სხვა უბანზე ჩვენმა მებრძოლებმა დასახლებული პუნქტიდან გარეკეს ჰიტლერელები და მოწინააღმდეგეს წაართვეს 6 ქვემეხი, 300 ყუმბარა, 5 ტყვიამფრქვევი, 2 რადიოსადგური, ბევრი შაშხანა, ავტომატები და საწყობი სამხედრო მასალიანად.

* * *

ჩვენი 11 მზვერავი (კალინინის ფრონტი) მტრის ზურგში ჩასაფრდა გზასთან და 22 გერმანელი მეავტომატე მოსპო. მტერმა აღმოაჩინა ჩასაფრებულნი და 30 კაცისაგან შემდგარი რაზმი გამოგზავნა. ჩვენი მებრძოლების წინააღმდეგ. ორივე მხრივ სროლა ასტყდა, რომლის დროსაც ჰიტლერელებმა კიდევ 10 ჯარისკაცი დაჰკარგეს. ყველა ჩვენი მზვერავი მშვიდობით დაბრუნდა თავის ქვეგანაყოფში.

* * *

სამხედრო ფერშალმა რუდენკომ მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ ბრძოლის ველიდან გამოიყვანა 47 დაჭრილი მებრძოლი და მეთაური მათი იარაღიანად.

* * *

პარტიზანული რაზმები, რომლებიც ამხ. ც. და ტ-ს მეთაურობით მოქმედებენ ლენინგრადის ოლქის გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ერთ-ერთ რაიონში, თავს დაესხნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების მიერ დაკავებულ დასახლებულ პუნქტს. პარტიზანებმა მოსპეს 50-ზე მეტი გერმანელი, მათ შორის ორი ოფიცერი. 3 გერმანელი ჯარისკაცი წამოყვანილია ტყვედ. პარტიზანებმა ტანკსაწინააღმდეგო გრანატებით ააფეთქეს მტრის საომარი მასალების საწყობი.

* * *

მოკლულ გერმანელ ლეიტენანტ ჰენრიხ რაუმერს თავისი სკოლის მასწავლებელ რუდოლფ ვებერისადმი მიწერილი წერილი აღმოაჩნდა. მოგვყავს წერილის ნაწყვეტები: „...ივლისში ჩვენ გვეგონა, რომ ომი ისევე მალე გათავდებოდა, როგორც დაიწყო... რა მღელვარებითა და გატაცებით დავცქეროდით რუკას და ვთვლიდით, თუ რამდენი კილომეტრი გაიარეს ჩვენმა ჯარებმა ომის პირველ კვირაში, მეორე კვირაში, ერთ თვეში. ამას წინათ კი მე და ლეიტენანტმა რატცელმა ლაშქრობის პირველი დღეები მოვიგონეთ. ამის თაობაზე რატცელმა სთქვა: „ჩვენ აქ უკვე 273 დღეა ვომობთ. და ახლა რომ გამოვითვალოთ, აღმოჩნდება, რომ რუსეთში გაცილებით უფრო ნელა გვივლია წინ, ვიდრე ყველა სხვა წინა ლაშქრობის დროს“. ეს ფაქტია... ახლა კი ჩვენ სამარცხვინოდ ვიხევთ უკან და უხვად ვრწყავთ ჩვენი სისხლით რუსეთის ველებს. ჯარისკაცები თავგზააბნეულნი, ილაჯგაწყვეტილნი და გაბოროტებულნი არიან. ისინი დიდხანს ვერ გაუძლებენ ასეთ დაძაბულობას... ყოველ უნტერ-ოფიცერს გულში სძულს ფელდფებელი, ფელდფებელს ოფიცერი, ხოლო ჯარისკაცს სძულს ყველანი, დაწყებული უნტერით და გათავებული გენერლით... რჩება ერთი მოჩვენებითი ნუგეში, რომ ჯარისკაცები ვერასოდეს ვერ შეჰკრავენ პირს...“.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილებში

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილების მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები განსაკუთრებული პატრიოტული აღფრთოვანებით შეეგებნენ მთავრობის დადგენილებას 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ყველა ნაწილსა და ქვეგანაყოფში შესდგა მიტინგები, რომლებზეც მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდნენ მებრძოლები და მეთაურები. ყოველი გამოსულის სიტყვა გამსჭვალული იყო ფაშიზმისადმი სიძულვილის გრძნობით და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით.

რამდენიმე საათის განმავლობაში № ნაწილის პირადმა შემადგენლობამ სესხზე ხელი მოაწერა თვიური ხელფასის 125 პროც. რაოდენობით. ბევრმა მებრძოლმა ხელმოწერის თანხა ნაღდად შეიტანა.

პოლიტხელ ამხ. რეცის ქვეგანაყოფში ხელმოწერის პირველსავე საათებში სესხზე ხელი მოაწერა პირადი შემადგენლობის 95 პროცენტმა ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

№ ნაწილის მფრინავთაგან სესხზე ხელი პირველმა მოაწერა სერჟანტმა ამხ. გოცირიძემ. მან ხელი მოაწერა ორთვენახევრის ხელფასზე. მის მაგალითს დანარჩენმა უმცროსმა მეთაურებმაც მიბაძეს.

მაიორ ამხ. შუვალოვის ნაწილში გამართულ მიტინგზე ორატორები ლაპარაკობდნენ სხვადასხვა ენებზე: რუსულზე, ქართულზე, აზერბაიჯანულზე, სომხურზე, უკრაინულზე. მაგრამ ყოველი მათგანი ლაპარაკობდა ერთ რამეზე—დიდი სტალინისა და სამშობლოსადმი სიყვარულზე და იმაზე, რომ არაფერს არ დაზოგავენ სამშობლოს დასაცავად ჰიტლერელ ავაზაკთაგან. მიტინგის შემდეგ კი ერთსულოვნად აწერდნენ ხელს სესხზე.

ხელს აწერენ რა ახალ სესხზე, მებრძოლები და მეთაურები კისრულობენ ვალდებულებას თავიანთ საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მიაღწიონ საუკეთესო მაჩვენებლებს, რათა უფრო მაგრად დასცხონ მტერს იარაღითაც.

კ. ზოტინი

ფაშისტმა ოკუპანტებმა მხეცურად გაჟლიტეს მარიუპოლის მცხოვრებნი

სამხრეთის ფრონტი, 15 აპრილი (საქტესის სპეცკორესპონდენტისაგან). სამხრეთის ფრონტის წითელარმიულმა გაზეთმა გამოაქვეყნა კორესპონდენცია „მარიუპოლის ტრაგედია“. გაზეთის კორესპონდენტი დაწვრილებით აგვიწერს იმ დანაშაულს, რაც ჰიტლერელებმა ჩაიდინეს მათ მიერ დროებით ოკუპირებულ აზოვისპირა ქალაქში. აი ამ კორესპონდენციის შინაარსი.

...მთელი ღამე ძარცვა-რბევას და დახვრეტას ეწეოდნენ. დილით სამხედრო კომენდანტის ბრძანება გამოაკრეს, რომელშიც ნათქვამი იყო: მთელი ებრაელი მოსახლეობა და აგრეთვე სხვა ეროვნებათა ის პირნი, რომლებიც ჩარიცხულ არიან №1 სიაში (კომუნისტების, კომკავშირელების, საბჭოთა მოსამსახურეებისა და წითელი არმიის მეთაურების ნათესავები) 24 საათის განმავლობაში უნდა გადასახლებულ იქნან შიდა რაიონებშიო. მცხოვრებთ წინადადება ეძლეოდათ თან წაეღოთ მთელი ფასეულობანი, სამი დღის საყოფი პროდუქტები და შესაკრებ პუნქტებში გამოცხადებულიყვნენ. როგორც ბრძანებაში აღნიშნავდნენ, „ბინები უნდა დაეკეტათ და გასაღები კომენდანტისათვის უნდა ჩაებარებინათ“.

მეორე დღეს ათასობით ადამიანი მიიდა ჩანთებით, ტომრებითა და ჩემოდნებით შესაკრებ პუნქტებში. მიდიოდნენ ოჯახებიანად, ქალებს ხელში ეჭირათ ბავშვები, ქალიშვილებს ხელგაყრილი მიჰყავდათ მოხუცი ქალები და კაცები; ბავშვებს თან მიჰქონდათ სათამაშოები. დათქმულ საათზე შესაკრებ პუნქტებში გამოცხადდა 9 ათასამდე კაცი. გერმანელი მოხელეები საჩქაროდ ატარებდნენ მათ რეგისტრაციაში, ართმევდნენ ფულს და ფასეულობებს „შესანახავად“. საღამოს კი მცხოვრებნი ქალაქის განაპირა უბნის ცარიელ ყაზარმებში გადაიყვანეს, სადაც მათ ქვის იატაკზე გაათიეს ღამე. ღამით გერმანელმა ეფრეიტორმა ჰაუპტიურება დაუპირა ქალიშვილს. ხოლო როცა მან ყვირილი ასტეხა, ეფრეიტორმა წაიბურტყუნა: „ხვალ ყველას დაგხვრეტთ“...

დილით გერმანელმა ოფიცრებმა ყველა შეკრებილნი ჯგუფებად დაჰყვეს ხუთას-ხუთასი კაცის შემადგენლობით და ძალით მიჰყავდათ ქალაქიდან. ამჯერად მცხოვრებთ მეავტომატენი და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული მოტოციკლისტები მიჰყვებოდნენ. ფეხით მიმავალი ჯგუფების შემდეგ საბარგულებით მიჰყავდათ ავადმყოფნი და მოხუცნი.

ნაღვლიანად მიდიოდნენ განწირულნი. ვინც ჩამორჩებოდა ან დაეცემოდა, კონდახებით ერეკებოდნენ. შიში უფრო და უფრო მატულობდა. ერთ ჯგუფში ქალიშვილმა საკინძე ჩამოიხია და დაიყვირა:

— ხალხნო, სად მივდივართ, ჩვენ ხომ დასახვრეტად მივყავართ!..

ასტყდა ტირილი და კვნესა, გაისმა გულსაკლავი ქვითინი. ქალაქიდან 7 კილომეტრზე ტანკსაწინააღმდეგო თხრილებია. მათ გვერდით დიდი საკოლმეურნეო ბაღებია. დაპატიმრებულნი იქ მიიყვანეს.

ყველას წინადადება მისცეს ტანთ გაეხადათ, მხოლოდ ქვედა საცვალი დაეტოვებინათ. სრულიად აშკარა გახდა, რომ მხეცურად გაჟლეტას აპირებდნენ. ეს ხალხი თხრილის გასწვრივ დააყენეს. ყვირილი და კვნესა არემარეს აყრუებდა. ქალები მოთიბულებივით ეცემოდნენ გონდაკარგულნი; თავზარდაცემული ბავშვები დედებს ეკვროდნენ. მოხუცნი გაქვავებულნი იდგნენ, ჩუმად, უხმოდ ტიროდნენ.

გაისმა პირველი ზათქი და სისხლით შეღებილი ასობით ადამიანი თხრილში ჩაცვივდა. დანარჩენები უკან გაიქცნენ, მაგრამ ნახევარწრედ მდგარი გერმანელი ოფიცრები მშვიდად და მეთოდურად ხვრეტდნენ მათ ავტომატების ტყვიით.

ღრმა ტანკსაწინააღმდეგო თხრილი დახოცილთა გვამებით და ჯერ კიდევ ცოცხალი სხეულებით ამოივსო. ძუძუთა ბავშვები, ტყვიამფრქვევის ჯერით განგმირულნი, დედების გვერდით ეცემოდნენ. ერთმანეთის გვერდით იღუპებოდნენ მთელი ოჯახები. ხალხი იხოცებოდა, ერთმანეთს ეკვროდა; ზოგიერთი დაჭრილი ცდილობდა დახოცილთა გროვას გამოსცლოდა მაგრამ მათ იქვე ხვრეტდნენ მეავტომატენი.

ვ. ხოდაკოვი

ახალ სესხზე ერთსულოვანი ხელისმოწერით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერება

ახალი სესხის რეალიზაცია საქართველოში

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის სამმართველოს ცნობებით, თბილისში გუშინ ღამის 12 საათისათვის ქალაქის მშრომელებს ხელი მოწერილი ჰქონდათ 62.021.000 მანეთზე, აქედან ბერიას სახელობის რაიონში ხელი მოაწერეს 13.126.000 მანეთზე, 26 კომისრის სახელობის რაიონში—11.465.000 მანეთზე, სტალინის სახელობის რაიონში—8.896.000 მანეთზე, ლენინის სახელობის რაიონში — 7.246.000 მანეთზე, კიროვის სახელობის რაიონში—7.012.000 მანეთზე, მოლოტოვის სახელობის რაიონში—6.667.000 მანეთზე და ორჯონიკიძის სახელობის რაიონში—5.609.000 მანეთზე.

ახალ სესხს წარმატებით აწერენ ხელს აგრეთვე საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრის—ქ. ქუთაისის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები. 14 აპრილს ქუთაისის მშრომელებს 8.763.000 მანეთის სესხზე ჰქონდათ ხელი მოწერილი.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში სესხზე ხელის მოწერა ძირითადად დამთავრებულია. ზუგდიდის რაიონში ქალაქისა და სოფლის მოსახლეობამ ხელი მოაწერა 4.089.000 მანეთზე, აქედან კოლმეურნეებმა ერთი მილიონი მანეთი უკვე ნაღდ ფულად შეიტანეს. აბაშის რაიონში ხელი მოაწერეს 1.593.000 მანეთზე, აქ კოლმეურნეების მიერ ნაღდად შეტანილია 244.000 მანეთი. ასპინძის რაიონში ხელმოწერილია 1.114.000 მანეთზე, მცხეთის რაიონში—1.493.000 მანეთზე, წყალტუბოს რაიონში—2.105.000 მანეთზე და სხვ.

მთელ რესპუბლიკაში 14 აპრილის ღამის 12 საათისათვის ხელმოწერის თანხა 175.842.000 მანეთს შეადგენს.

სესხზე ხელმოწერა წარმატებით გრძელდება.

ახალი სესხის რეალიზაციის წარმატება თბილისის საწარმო-დაწესებულებებში

თბილისის საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი ერთსულოვნად შეხვდნენ სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებას 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ.

მოსკოვიდან რადიოტრანსლაციის დამთავრების შემდეგ ფაბრიკა-ქარხნებსა და დაწესებულებებში ჩატარებულ მიტინგებზე მუშა-სტახანოველები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგის მუშაკები და მოსამსახურენი აღტაცებით ლაპარაკობდნენ თავიანთ გამოსვლებში ახალი სესხის უდიდეს სამხედრო-პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, რომელიც ეხმარება ვმირ წითელ არმიას ვერაგი მტრის—ფაშისტი დამპყრობლების განადგურებაში.

მიტინგების დამთავრებისთანავე 13 და 14 აპრილს ყველგან დიდი პოლიტიკური შეგნებით დაიწყო ახალ სესხზე ხელმოწერა. სამხედრო ძლიერების განმტკიცების ამ ახალ სესხზე საბჭოთა პატრიოტები ხელს აწერენ თვენახევრისა და ორი თვის ხელფასზე და უფრო მეტი რაოდენობით.

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში 13 აპრილს მიტინგის დამთავრების შემდეგ მეორე ცვლის მუშა-მოსამსახურეებმა ერთი საათის განმავლობაში ხელი მოაწერეს 327.655 მანეთის ობლიგაციაზე, რაც თვენახევრის ხელფასს აღემატება.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მეორთქლმავლე ბრიგადებმა, რომლებიც თბილისის დეპოში იმყოფებოდნენ, ხელმოწერის დაწყებიდან ერთი საათის განმავლობაში მთლიანად დაამთავრეს ახალ სესხზე ხელისმოწერა. მათ მიერ ხელმოწერილმა თანხამ ერთ საათში 100.000 მანეთს გადააჭარბა.

თბილისის სავაგონო დეპოს ზეინკალმა სტულინევმა ხელი მოაწერა ახალ სესხს 3.000 მანეთის რაოდენობით.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივმა 13 აპრილს საღამოს ერთი საათის განმავლობაში ხელი მოაწერა 92.140 მანეთის სესხზე. ამავე ფაბრიკის სტახანოველმა მქსოველმა ამხ. კოკოლაშვილმა ხელი მოაწერა სესხს ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს 14 აპრილს დღის 4 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 446.775 მანეთის რაოდენობით.

26 კომისრის სახელობის ქარხანაში 14 აპრილს დღის 4 საათისათვის ახალ სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 241.000 მანეთს, რამაც თვენახევრის საშუალო ხელფასს გადააჭარბა.

იმავე დროისათვის **კალინინის სახელობის ქარხანაში** 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხი რეალიზებული იყო 141.500 მანეთის რაოდენობით.

აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში 14 აპრილს დღის 5 საათისათვის 882 კაცმა ხელი მოაწერა 294.730 მანეთის რაოდენობით.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაკთა კოლექტივს 14 აპრილს დღის 4 საათისათვის ხელი მოწერილი ჰქონდა 387.615 მანეთის სესხზე.

სტალინის სახელობის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში 14 აპრილის დღის 5 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხა უდრიდა 137.670 მანეთს, გასულ წელს კი აქ სესხზე ხელი მოაწერეს სულ 79.325 მანეთის რაოდენობით. ამ ფაბრიკის ორძსოვანმა მუშამ ნ. ნერსესიანმა ახალ სესხზე ხელი მოაწერა ორი თვის ხელფასის—2.000 მანეთის რაოდენობით.

რადიოქარხნის მუშა-მოსამსახურეებს 14 აპრილს საღამოს 5 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 114.920 მანეთის რაოდენობით.

ასევე წარმატებით ჩატარდა სესხის რეალიზაცია პირველ და მეორე სამკერვალო ფაბრიკებში და თბილისის მთელ რიგ საწარმოებში.

დიდი აღფრთოვანებით ტარდება სესხზე ხელის მოწერა მეცნიერებისა და ხელოვნების დარგის მუშაკებს შორის.

აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა ხელი მოაწერა სესხს 7.000 მანეთის რაოდენობით, აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ—6.400 მანეთის რაოდენობით, აკადემიკოსმა გ. ახვლედიანმა—6.000 მანეთზე.

რუსთაველის სახელობის თეატრის მუშაკთა კოლექტივს 14 აპრილს ღამის 10 საათისათვის სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 144.630 მანეთის რაოდენობით. ორ თვეზე მეტი ხელფასის რაოდენობით ხელი მოაწერეს აკ. ხორავამ 10.000 მანეთზე, ა. ვასაძემ—9.000 მანეთზე.

თბილისის საოპერო თეატრში 14 აპრილის დღის 2 საათისათვის 392 მუშაკს ხელი მოწერილი ჰქონდა 369.250 მანეთის რაოდენობით. ვ. ჭაბუკიანმა ხელი მოაწერა 8.000 მანეთზე, დ. ანდღულაძემ — 7.000 მანეთზე, 6.000 მანეთზე ხელი მოაწერეს გ. კილაძემ და დავიდოვმა.

მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ი. აბაშიძემ ხელი მოაწერა ახალ სესხს 2.500 მანეთის რაოდენობით.

თბილისის კინოსტუდიის მუშაკებმა გადაწყვიტეს სესხად სახელმწიფოს მისცენ თვენახევრის ხელფასი. რეჟისორმა ნ. შენგელაიამ ხელი მოაწერა სესხზე 2.500 მანეთის რაოდენობით, პ. კობახიძემ—2.300 მან., რეჟისორმა პეტროვმა—3.000 მან., ნატო ვაჩნაძემ — 2.800 მან., დ. რონდელმა — 2.700 მან., ს. დოლიძემ—2.500 მანეთის რაოდენობით.

14 აპრილს დღის 4 საათისათვის ხელი მოაწერა კინოსტუდიის 278 მუშაკმა 157.000 მანეთის რაოდენობით.

თბილისის საწარმო-დაწესებულებებში ახალი სესხის რეალიზაცია კვლავ დიდი წარმატებით მიმდინარეობს.

ავტონომიურ რესპუბლიკებში, რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში

1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების რადიოთი მოსმენის შემდეგ აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე საქართველოს რაიონებში, ქალაქებსა და სოფლებში უმაგალითო აღფრთოვანებით ჩატარდა ახალ სესხზე ხელის მოწერა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში პირველ დღეს უკვე გავრცელებული იყო 7 მილიონამდე მანეთის სესხი. ახალი სესხის რეალიზაციაში დიდ აქტივობას იჩენენ კოლმეურნეობები და კოლმეურნეები. გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ ხელი მოაწერა სესხს 40.000 მანეთის რაოდენობით, ხოლო პირადად კოლმეურნეებმა პირველ დღესვე გაანაღდეს 39.000 მანეთი.

მარტო გუდაუთის რაიონის კოლმეურნეთა შორის 13 აპრილს ნაღდ ანგარიშზე რეალიზებული იყო 171.000 მანეთის სესხი, ხოლო მთელ აფხაზეთში 247.000 მანეთისა.

ტყვარჩელის მეშახტეებმა პირველ დღესვე ხელი მოაწერეს 232.000 მანეთის სესხზე. ცნობილმა მაღაროელმა ნიკოლოზ ხუნტუამ გაანაღდა 2.000 მანეთის ობლიგაცია.

აჭარის ასს რესპუბლიკაში მშრომელნი უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდნენ მთავრობის დადგენილებას სახელმწიფო სამხედრო სესხის გამოშვების შესახებ. 13 აპრილს ღამის 12 საათისათვის ქალაქ ბათუმის მშრომელებმა და ბათუმის რაიონის კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 2.623.000 მანეთზე. ხელის მოწერის პირველ დღეს აჭარის კოლმეურნეებმა ნაღდ ფულად შეიტანეს 8.000 მანეთი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში ახალ სესხზე ხელის მოწერა დიდი წარმატებით მიმდინარეობს. სტალინირში 13 აპრილს საღამოს სესხზე ხელი მოაწერა 700 მუშა-მოსამსახურემ 500.000 მანეთის რაოდენობით, რაც აღემატება მათი 6 კვირის ხელფასს. პედინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ზ. ვანეევმა სესხზე ხელი მოაწერა 2.400 მანეთის რაოდენობით, სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. ე. სანაკოევმა—2.400 მანეთზე, ოსეთის საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. კ. კუმარიტოვმა 1.600 მანეთზე და ა. შ.

სულ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში 13 აპრილს საღამოსა და ღამით ახალ სესხზე ხელი მოწერილი იყო 1.008.000 მანეთის რაოდენობით.

გორის რაიონში 14 აპრილს საღამოს 5 საათისათვის უკვე 6.500 კაცს ჰქონდა მოწერილი ხელი 3.996.000 მანეთზე. აქედან ქალაქად ხელის მოწერის თანხამ 1.538.000 მანეთს გადააჭარბა, ხოლო სოფლად 2.458.000 მანეთს.

გორის საკონსერვო ქარხნის მუშებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს თვენახევრის ხელფასი. სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობაში 1 საათის განმავლობაში ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 59 კოლმეურნეს 23.700 მანეთის რაოდენობით. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო ნონიკაშვილმა ხელი მოაწერა 3.000 მანეთზე, ბრიგადირმა ვანო თედელურმა 1.000 მანეთზე, ვასო კალიშვილმა 1.000 მანეთზე და სხვ.

სესხზე ხელის მოწერა წარმატებით მიმდინარეობს ბერბუკის, ხელთუბნის, დიცის, სვენეთის, ახალუბნის და სხვა კოლმეურნეობებში. სვენეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ს. ბალდოშვილმა ხელი მოაწერა 5.000 მანეთზე. აღნიშნული თანხა მან უკვე დაფარა. ბერბუკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შაქრო გიგაურმა ხელი მოაწერა 5.000 მანეთზე, ოხერას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სირანა ანასტასოვმა ხელი მოაწერა 5.000 მანეთზე. ქახვრელის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნატალია სადღაშვილმა—2.000 მანეთზე, დიცის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოსიაშვილმა—3.500 მანეთზე.

ჭიათურაში 14 აპრილს დღის 12 საათისათვის ქალაქად და სოფლად ხელმოწერის თანხა 1.345.675 მანეთს შეადგენდა. კოლმეურნეებმა ნაღდად შეიტანეს 27.000 მანეთი.

ბევრმა მაღაროელმა ხელი მოაწერა 6 კვირის ხელფასზე. სტახანოველმა წიგნაძემ ხელი მოაწერა 2 თვის ხელფასზე. კოლმეურნეებმა მიხეილ კაშაკაშვილმა და დავით წერეთელმა, რომლებსაც 4-4 შვილი ფრონტზე ჰყავთ, 300-300 მანეთი ნაღდად შეიტანეს.

ბორჯომის რაიონის სააფთიაქო ფაბრიკის მუშამ გ. მაზუროვმა სესხს ხელი მოაწერა სამნახევარი თვის ხელფასზე, მ. გოგოლაძემ სამი თვის ხელფასზე, საქავტოტრანსის ბორჯომის განყოფილების მუშამ ი. სააკოვმა ორი თვის ხელფასზე, კავშირგაბმულობის ბორჯომის რაიონის კანტორის თანამშრომელმა დ. ნიკოგოსოვმა სამი თვის ხელფასზე და ა. შ.

13 აპრილის ღამის 12 საათისათვის მთელ რაიონში სესხზე ხელის მოწერის თანხა შეადგენდა 1.366.000 მანეთს.

ცხაკაიას რაიონში 14 აპრილს ღამის 11 საათისათვის ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 4.251 კაცს 1.680.000 მანეთის რაოდენობით.

სიღნაღის რაიონში 13 აპრილს საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ხელი მოწერილი იყო 261.900 მანეთზე, აქედან 84 ათასი მანეთი ნაღდად შემოვიდა.

სესხზე ხელმოწერა საუკეთესოდ დაიწყეს ქვემო მაჩხაანის, ვაქირის, დაბაწნარის, ძველი ანაგის, ჯუგაანის, ტიბაანისა და სხვა სასოფლო საბჭოებმა.

გურჯაანის რაიონში 4 საათის განმავლობაში ხელი მოწერილი იყო 600.000 მანეთის სესხზე. ველისციხეში რამდენიმე საათის განმავლობაში 161 კოლმეურნემ ხელი მოაწერა 45 ათას მანეთზე და ნაღდად შეიტანა 11.120 მანეთი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა უმრავლესობამ 800 და 1.000 მანეთზე მოაწერეს ხელი და თითქმის 40 პროცენტი უკვე გაანაღდეს. კოლმეურნეებმა კოლა, ვიგა და სარქის ტატიშვილებმა ხელი მოაწერეს ათას-ათას მანეთზე და ნაღდად შეიტანეს თითოეულმა 400 მანეთი.

ხელის მოწერა წარმატებით მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ კარდანახში, ვაზისუბანში და რაიონის მთელ რიგ სხვა სასოფლო საბჭოებში.

ფოთის ნავსადგურის, რკინიგზის, წყლოსანთა, ჯანმრთელობის დარგის მუშაკებმა ხელი მოაწერეს ერთი-ერთნახევარი და ორი თვის ხელფასზე. ა ვიშნევსკიმ, ი. ლაღიძემ, შ. ცხადაიამ, ა. მხატრიშვილმა და კოლოშვილმა ხელი მოაწერეს თვენახევარ-ორი თვის ხელფასის რაოდენობით. პირველ დღეს ხელმოწერამ ფოთში 5.500 ათას მანეთს

სოჩხერის რაიონში 14 აპრილს 11 საათისათვის ხელმოწერის თანხა 310.840 მანეთამდე ავიდა. მრავალ კოლმეურნეს ფული ხელისმოწერისთანავე შეაქვს.

სტალინის პრემიის ლაურეატები: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ა. ვასაძე, ორდენოსანი მსახიობი მ. გ. გელოვანი, ორდენოსანი მხატვარი უ. მ. ჯაფარიძე, ბ. ა. კუფტინი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კომპოზიტორი შ. მ. მშველიძე, ა. ა. ანტონოვსკაია.

სამამულო ომის სესხი

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ჩვენი ქვეყნის მთელი ძალებისა და სახსრების მობილიზაციას მოითხოვს.

გერმანიის ყაჩაღური იმპერიალიზმის საბოლოო განადგურებისა და მტრისაგან ჩვენი წმიდა საბჭოთა მიწა-წყლის სრული განთავისუფლებისათვის „საჭიროა, რომ ჩვენს არმიასა და ჩვენს ფლოტს ქმედითად და აქტიურად დაეხმაროს მთელი ჩვენი ქვეყანა, რომ ჩვენმა მუშებმა და მოსამსახურეებმა, ქალებმა და კაცებმა შეუსვენებლივ იმუშაონ საწარმოებში და მიაწოდონ ფრონტს სულ უფრო და უფრო მეტი ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო თოფები და ქვემეხები, თვითმფრინავები, ზარბაზნები, ნაღმსატყორცნები, ტყვიამფრქვევები, შაშხანები, საომარი მასალები, რომ ჩვენმა კოლმეურნეებმა, ქალებმა და კაცებმა, შეუსვენებლივ იმუშაონ თავიანთ მინდვრებში და ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ სულ უფრო და უფრო მეტი პური, ხორცი, ნედლეული მრეწველობისათვის, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა და სსრ კავშირის ყველა ხალხი დაირაზმოს ერთიან ბრძოლის ბანაკად, რომელიც ჩვენს არმიასთან და ფლოტთან მხარდამხარ ეწევა დიდ განმათავისუფლებელ ომს ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის, გერმანიის არმიების განადგურებისათვის". (სტალინი).

ბელადის ამ მოწოდებას საბჭოთა ხალხმა უპასუხა შრომის ნაყოფიერების უმაგალითო ზრდით, სოციალისტური შეჯიბრების ახალი გაქანებით, რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა ფართო დანერგვით, ორასოვანთა რიგების ზრდით, წარმოებაში ეკონომიისათვის და ყოველი ფუთი რკინის, ნახშირის, ნავთისა და პურის სწორად გამოყენებისათვის ბრძოლით.

მთელი საბჭოთა ხალხი—მუშები და მოსამსახურენი, კოლმეურნეები, მამაკაცები და ქალები, მოხუცები და ახალგაზრდობა, ერთი გრძნობით დარაზმულნი, — თავდადებით სჭედავს მტერზე გამარჯვებას. საბჭოთა ადამიანები გაორკეცებული და გასამკეცებული ენერგიით მუშაობენ დაზგებთან და საკოლმეურნეო მინდვრებში.

ამავე დროს ზურგში ახალი სარეზერვო ...

... რული მისდამი. მშრომელებმა ასიათასობით ქურქი, ქეჩურა, ტყაპუჭი, მატყლის წინდა და მრავალი სხვა სამოსი—მაზარა, პალტო, თეთრეული და ხელთათმანი გადასცეს წითელ არმიას.

მშრომელთა დიდძალი ინდივიდუალური და კოლექტიური საჩუქარი იგზავნება ფრონტზე პირადი საჭიროების საგნებთან—პაპიროსებთან, თამბაქოსთან, ხილთან, ტკბილეულთან და სხვასთან ერთად.

ჩვენი ქვეყნის მშრომელნი თავიანთი ინიციატივით აწყობენ და ფართოდ ატარებენ თანხების შეგროვებას სატანკო კოლონების, თვითმფრინავთა ესკადრილიების, ჯავშნიანი მატარებლების ასაგებად.

მოსახლეობა ერთსულოვნად შეხვდა სსრ კავშირის ფინსახკომის მიერ ამას წინათ მოწყობილ ფულისა და ნივთების ლატარიას, რომლის შემოსავალი განკუთვნილია სამხედრო ხარჯების დასაფარავად. ლატარიის გამოცხადებული თანხა—ერთი მილიარდი მანეთი—მოკლე ვადაში იქნა დაფარული გადაჭარბებით: მოსახლეობამ 1.300 მილიონ მანეთზე მეტი თანხისა შეიძინა ლატარიის ბილეთები.

სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით გამოშვებული ახალი 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხი საბჭოთა ხალხის მიერ შეტანილ დიდ საუნჯედ უნდა გადაიქცეს ფაშისტ დამპყრობთა განადგურების საქმისათვის.

ახალი სესხის დანიშნულებაა მიიზიდოს დამატებითი სახსრები სამამულო ომთან დაკავშირებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. სესხის ასეთი დანიშნულება გამოხატულია თვით სესხის სახელწოდებაში და საბჭოთა მთავრობის დიდ სამხედრო ღონისძიებად აქცევს მას.

1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხი შესდგება ორი გამოშვებისაგან: მომგებიანისა და პროცენტიანისაგან.

სესხის მომგებიანი გამოშვება განკუთვნილია მოსახლეობაში გასავრცელებლად როგორც ქალაქებში, ისე სოფელ ადგილას.

პროცენტიანი გამოშვება გავრცელდება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, შინამრეწველ და თევზჭერის არტელებს შორის, სამომხმარებლო კოოპერაციაში და მიწის საზიაროდ დამუშავების ამხანაგობებს შორის.

...

ხელმოწერა ტიტულად უნდა ჩატარდეს როგორც ქალაქში, ისე სოფლად. აქ არ შეიძლება იყოს არავითარი რეგისობა; როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, ხელმოწერის დაწყების დაგვიანება მხოლოდ ვნებს საქმეს. ხელმოწერა მოკლე ვადაში უნდა მოეწყოს. ხელმოწერის ჩქარა დამთავრების საჭიროება იმით არის გამოწვეული, რომ მუშა-მოსამსახურეთაგან სესხის პირველი შენატანი აპრილის მეორე ნახევრის ხელფასიდან უნდა შეგროვდეს.

სესხზე ხელმოწერაში მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის თითოეული მუშის, მოსამსახურისა და კოლმეურნის ღირსების, პატრიოტული მოვალეობის საქმეა.

1942 წლის სამხედრო სესხზე ხელმოწერით დავეხმარეთ ჩვენს მამაც წითელ არმიას გაათავისუფლოს გერმანელ დამპყრობთაგან ჩვენი საბჭოთა ტერიტორია, ჩვენი სოფლებისა და ქალაქების მოქალაქენი, გაათავისუფლოს ჩვენი ქალები, სირცხვილისა და შეურაცხყოფისაგან, რასაც ისინი განიცდიან გერმანელ ფაშისტ მტარვალთაგან.

1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელის მოწერით დავაჩქაროთ სრული განადგურება ჰიტლერული ყაჩაღებისა, რომელნიც ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს!

ა. ზვერევი,

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი

ინგლისი მოითხოვს იაპონიის მისიის ირანიდან გაძევებას

თავრიზი, 15 აპრილი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). როგორც გადმოგვცემენ, ამ დღეებში ინგლისის მისიამ თეირანში ირანის მთავრობას წარუდგინა მოთხოვნა ირანიდან იაპონიის მისიის გაძევების შესახებ. ფიქრობენ, რომ ინგლისელთა მოთხოვნა, რომელსაც მხარს უჭერენ ამერიკელები, შესაძლოა, დაკმაყოფილებულ იქნას. დიდი ხმები, ირანის მთავრობის უარის შემთხვევაში სერიოზული კონფლიქტი გამოიწვიოს ინგლისთან.

საბოტაჟის აქტები გერმანიის მრეწველობაში

სტამბოლი, 12 აპრილი (საკუთარი). როგორც საქმეს გაცნობილ წრეებში გადმოგვცემენ, ამ ცოტა ხნის წინათ გერმანიის მრეწველობაში საბოტაჟის ახალი აქტები მოხდა. ...

ჩერჩილის პასუხი თემთა პალატაში დასმულ შეკითხვებზე ინდოეთის ოკეანეში [illegible] ოპერაციების შესახებ

ლონდონი, 14 აპრილი (საკუთარი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ თემთა პალატის სხდომაზე ჩერჩილმა მოკლე განცხადება გააკეთა ინდოეთის ოკეანეში ამასწინანდელი ოპერაციების შესახებ და აღნიშნა ახალი დაწვრილებითი ცნობები ათი-ათი ათასი ტონა წყალწყვის და 8-დუმიანი ქვემეხებით შეიარაღებული 2 კრეისერის — „დორსეტშირისა" და „კორნუოლის", აგრეთვე ავიამზიდ „ჰერმესის" დაღუპვის შესახებ. 4 აპრილს შემჩნეულ იქნა, რომ რიცხობრივად ჭარბი იაპონელთა სამხედრო-საზღვაო ძალები, რომლებიც ინდოეთის ოკეანეში შემოვიდნენ, ცეილონისაკენ გაემართნენ. ...

მრავალი ათეული გემი ყოველდღე იმყოფება ზღვაში ისე, რომ ასეთი დაცვა არ მოეპოვება. რისკი რომ არ გავწიოთ და ზღვაში არ გავიდეთ, შეუძლებელია განვახორციელოთ ბადრაგობისა და საზღვაო ომის ფართო ოპერაციები.

მალაიაში და სინგაპურში ამბავთა მიმდინარეობის შესახებ დასმულ კითხვების პასუხად ჩერჩილმა აღნიშნა, რომ მიღებულია გენერალ გორდონ ბენეტის მოხსენება, რომელიც ვერ გამოქვეყნდება. ჩერჩილმა განაცხადა, რომ უახლოეს 2 კვირის განმავლობაში იგი თემთა პალატის დახურულ სხდომაზე გააკეთებს მოხსენებას არსებული მდგომარეობის შესახებ.

...

ოკუპანტების მხეცური თვითნებობა და თარეში ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკებში

სტოკჰოლმი, 13 აპრილი (საკუთარი). იმასთან დაკავშირებით, რომ ლატვიის, ლიტვისა და ესტონეთის ხალხებმა ქედი არ მოიხარეს და გააფთრებულ ბრძოლას ეწევიან გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ, ჰიტლერული გაზეთები სავსეა მუქარით ბალტიისპირეთის საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობისადმი. გაზეთ „დოიჩე ცაიტუნგ ინ ოსტლანდის" ცნობით, გერმანელთა პოლიციის უფროსმა ლატვიაში გენერალ-მაიორმა შრედერმა ამას წინათ სიტყვა წარმოსთქვა და გაილაშქრა „მოწუწუნეებისა და ყველა უკმაყოფილოთა" წინააღმდეგ და გამაფრთხილებლად მოაგონა მათ, რომ პოლიცია დღესტაპო ლატვიაში „სამხედრო დაკვრითი ძალა არისო".

ამ მუქარის პასუხად გახშირდა ცეცხლის წაკიდება სხვადასხვა ნაგებობისათვის, რომელთაც ოკუპანტები თავიანთი მიზნებისათვის იყენებენ. ჰიტლერულმა გაზეთმა „დოიჩე ცაიტუნგ ინ ოსტლანდმა" სპეციალური სტატია მოათავსა, რომელშიც „უკანასკნელად აფრთხილებს" ფარულ ცეცხლწამკიდებელთ. ამის მიუხედავად, ცეცხლის წაკიდება გრძელდება; მარტო ამ უკანასკნელ ხანს ბალკშენის ოლქში ცეცხლის წაკიდებისათვის პასუხისგებაში მიცემულ იქნა 50-ზე მეტი გლეხი. ამავე გაზეთში სისტემატურად იბეჭდება საკვდილით დასჯის განაჩენი იმ პირთათვის, რომელთაც ბრალდებათ იარაღის ფარულად შენახვა, საბჭოთა სამხედრო ტყვეებისადმი თანაგრძნობა ან მათთვის დახმარება, პარტიზანთათვის ხელის შეწყობა, იმისი ცდა, რომ დაუმალონ ხელისუფლებას სხვადასხვა ნივთები, რომლებიც გერმანიის არმიის საჭიროებისათვის უნდა ჩაებარებინათ და სხვ. სოფლად მასობრივად უსწორდებიან გლეხებს იმისათვის, რომ ისინი ბაზრებში ყიდიან პროდუქტებს, რომლებიც გერმანიის ხელისუფალთა ბრძანებით მთლიანად უნდა ბარდებოდეს გერმანიის არმიას. გლეხებს საზიდრებსა და ცხენებს ართმევენ. ...

გებელსი დამფრთხალია იმით, რომ გერმანიის მოსახლეობა უკმაყოფილოა ომის გამო

სტამბოლი, 14 აპრილი (საკუთარი). გაზეთმა „დას რაიხმა" მოათავსა გებელსის სტატია, რომელიც ადასტურებს იმას, რომ ომისა და ამ ომთან დაკავშირებული სიძნელეების გამო გერმანიის მოსახლეობის უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო აშკარა და ჰიტლერელთათვის საშიშ ხასიათს იღებს. „ჩვენს შორის,—სწერს გებელსი,—არიან კიდევ ისეთი ადამიანები, რომ ყოველმხრივ ვერ განიხილავენ ომს, რომელსაც გერმანია ეწევა. ისინი სიძნელეებს იმ ზომამდე აზვიადებენ, რომ უკვე აღარ ძალუძთ გაარჩიონ არსებითი არაარსებითისაგან, გაარჩიონ დღევანდელი დღის მოთხოვნებით გამოწვეული მოვლენები ისეთი მოვლენებისაგან, რომლებიც დამოკიდებული არ არიან დროზე".

გებელსი ცდილობს იმით მოახდინოს გავლენა გერმანელებზე, რომ ჯარისკაცებს ფრონტზე „მილიონჯერ მეტი" გაჭირვების გადატანა უხდებათ, ვიდრე სამოქალაქო მოსახლეობას. იგი სწერს: „ყოველივე ის, რაც ჩვენს ჯარისკაცებს აღელვებს, იმაში რომ მდგომარეობდეს, რომ ქვანახშირი ან კარტოფილი არა ჰყოფნით, რომ არ შეიძლება თავიანთი თავის სასიამოვნოდ იმგზავრონ რკინიგზით, ან იმაში, რომ ქალაქებში სატრანსპორტო საშუალებანი გადატვირთულია, რომ მაღაზიებში მუდამ ერთსა და იმავე პასუხს იძლევიან: „მეტი აღარ დაგვრჩაო",—მათ სამოთხეში ეგონებოდათ თავი".

გებელსს აშკარად აშინებს დემორალიზაცია, რომელიც გერმანიაში ძლიერდება. „სამშობლოში დარჩენილებმა, — მოითხოვს იგი,—არ უნდა ილაპარაკონ ჯარისკაცებთან თავიანთ გაჭირვებაზე, როდესაც ეს ჯარისკაცები ხანმოკლე შვებულებაში მიდიან შინ". არ შეიძლება,—სწერს გებელსი,—ხელი შევუწყოთ იმას, რომ ჯარისკაცები კიდევ უფრო დამწუხრებულნი და ზედმეტი, საზრუნავით დატვირთულნი ბრუნდებოდნენ ფრონტზე. იგივე უნდა გვახსოვდეს, როდესაც ჯარისკაცებს წერილებს ვწერთ. მხოლოდ სულელ და სუსტი ნებისყოფის ადამიანებს შეუძლიათ სწერონ თავიანთი ყოველდღიური საზრუნავის შესახებ,—გულმოსული გაიძახის გებელსი. გებელსი მოითხოვს, რომ გერმანიის მოსახლეობა ერიდოს სიძნელეებზე ლაპარაკს, ვინაიდან „ადამიანთა უმეტესობას მორალური და სულიერი ძალები უკიდურესად დაძაბული აქვს".

ლექციები

16 აპრილს, საღამოს 9 საათზე, ინდუსტრიული ინსტიტუტის კლუბში შესდგება ამხ. ბ. ჟღენტის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: „XIX საუკუნის რუსეთის რევოლუციური ინტელიგენციის ბრძოლა სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის (ბ. ბელინსკი, ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი)."

16 აპრილს, საღამოს 8 საათზე, 26 კომისრის სახელობის რაიკომის რაიაგიტპუნქტში შესდგება ამხ. ქვილითაიას ფასიანი ლექცია ქართულ ენაზე. თემა: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".

ბილეთები იყიდება რაიაგიტპუნქტში.

თეატრებში

საოპერო—15 აპრილს — „ფაუსტი", 16 აპრილს — „სამშობლო". **რუსთაველის სახელობის** — 15 აპრილს — ...

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3303067, გაცემული ნიკოლოზ სერგის-ძე ბერიძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 4347803, გაცემული ვლადიმერ გიორგის-ძე ფირცხალაიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. გეოგრაფიულ საზოგადოებაში

16 აპრილს, საღამოს 7 საათზე, გეოგრაფიის კაბინეტში (პლეხანოვის პრ., 178) გეოგრაფიის მასწავლებელთათვის შესდგება მეთოდური პრაქტიკუმი სამხედრო გეოგრაფიულ თემებზე.

დღეს კინოებში

...

გერმანიაში საჯარო სიკვდილით დასჯა შემოიღეს

სტოკჰოლმი, 14 აპრილი (საკუთარი). გაზეთ „ნიუა დაგლიტ ალეჰანდას" ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, ჰიტლერელები ტერორის შუასაუკუნეთა ღონისძიებებს იყენებენ ხალხის დასაშინებლად. ...

ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა უარყო ინგლისის წინადადებანი

ლონდონი, 11 აპრილი (საკუთარი). ...

სკოლების სრულიად-საკავშირო შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოში

სვერდლოვსკის ოლქის ქ. ირბიტში შესდგა მასწავლებელთა და მოწაფეთა ორგანიზაციების წარმომადგენელთა რაიონული თათბირი, რომელიც მიეძღვნა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოსათვის სკოლების მომზადებას. ...

„დიდმა სამშობლომ უხვად მოგვცა ყოველივე, რაც კი საჭიროა ყოველმხრივ განვითარებისა და შემოქმედებითი ზრდისათვის,—ამბობენ თავიანთ მიმართვაში ირბიტელი მასწავლებლები.—ახლა, ბრძოლის სუსხიან ჟამს, ჩვენ, მისი ერთგულნი შვილნი, ხალისით და სიხარულით ვუხდით მას სამაგიეროს თავდადებული შრომით...

დაე, ეს გაზაფხული უკანასკნელი გაზაფხული გახდეს ჩვენი მტრებისათვის!

დაე, გაზაფხულის მზემ ნათელი მოჰფინოს ჩვენს მიწას, როგორც მომავალი გამარჯვების მაუწყებელმა!" (საკუთარი).

...

საქ. სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

გარდაიცვალა ...

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უპ 5881